პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი.
№ 135 (12951) | ხუთშაბათი, 11 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ახალგაზრდა კომუნისტი დალი წივწივაძე მეორე წელია ხელმძღვანელობს წულუკიძის სახელობის სამმართველოს წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა მოწინავე რგოლს.

შარშან მოსავლელად მიჩენილი 2,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან რგოლმა უხვი მოსავალი მიიღო — ახალგაზრდებმა მოკრიფეს და საკალმწოფოს ჩაბარეს 23 ტონა პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი. წელს რგოლის წევრებმა ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრეს — სამ ჰექტარზე მოკრიფონ 27 ტონა „მწვანე ოქრო"! მეჩაიეები სიტყვას არ ტეხენ — მათ 15 დღეში უკვე მოკრიფეს 10 ტონა ჩაის ფოთოლი.

ბეჯითი შრომისათვის დალი წივწივაძე დაჯილდოებულია იტალიასა და ტუნისში სამოგზაურო საგზურით.

სურათებზე: ზემოთ — რგოლის ყველაზე ახალგაზრდა წევრები (მარცხნიდან) ელგუჯა გიორგბერიძე, გულნაზი ხაბულიანი, ჯულიეტა უგულავა და ნარგიზა ჭავჭავიძე; ქვემოთ — დალი წივწივაძე. ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



კომუნისტთა პასუხისმგებლობა

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში პარტია ამაღლებს თავისი ყოველი მებრძოლის როლს, თავის ცხოვრებასა და ბრძოლას აგებს ახალი წესდების მიხედვით, რომელიც მაგად ასრულებს. კომუნისტი ბრიგადიერი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტ ნათელა წილოსანი ამბობს — უკვე მიმდინარე წელს აიღონ შვიდწლედის უკანასკნელი წლის ზღუდე. ამ ამოცანის გადაწყვეტისაკენ არის ახლა მიმართული აცანელთა მთელი ძალები. ყველა სამუშაო და მათ შორის ძირითადი — ჩაის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს. კოლმეურნეები ეუფლებიან ქიმიას, ღრმად სწავლობენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკას, ერთმანეთს ეჯიბრებიან მიღწევების გამრავლებაში. შრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას სათავეში უდგას საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ყოველდღიურად აჩაღებს მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას.

მოწინავე კომუნისტები ყველგან არიან: მრეწველობაში და მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობასა და მეცნიერებაში. ისინი წარმოადგენენ წამყვან ძალას, სათავეში უდგანან მასების ინიციატივასა და თაოსნობას, პირადი მაგალითით აღფრთოვანებენ მათ შვიდწლედის დავალებათა შესასრულებლად.

მაგრამ, სამწუხაროდ, არის გამონაკლისი შემთხვევებიც. მოწინავეთა გვერდით არც თუ იშვიათად არიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც ვერ ამართლებენ ამ მაღალ სახელს, ჩამორჩებიან, ინიციატივასა და თვითმოქმედებას არ იჩენენ.

არაგვა. არის ასეთი სოფელი ახალქალაქის საწარმოო სამმართველოში. ამ სოფლის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ა. აკოფიანი) 46 კომუნისტს აერთიანებს, კომკავშირული ორგანიზაცია კი — 50 ახალგაზრდას. ასეთი მრავალრიცხოვანი აქტივი რომ ჰყავს, სოფელს თითქოს არაფერი არ უნდა უჭირდეს, მაგრამ სოფელ არაგვას კოლმეურნეობა ერთ-ერთი ჩამორჩენილი მეურნეობაა სამმართველოში. გასაკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ არაგვას კოლმეურნეობამ შარშან მიღებული მცირე მოსავლის დროს ბინა ვერ შეძლო. საფიქრალი იყო, რომ არაგველი კომუნისტები ამ სამარცხვინო ფაქტიდან სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ და წელს გარდაქმნიდნენ მუშაობას, მაგრამ ასე არ მოხდა — მათი მოღვაწეობა ისევ ძველ კალაპოტში მდორედ მიედინება. უფრო მეტი. მათ წელს საგაზაფხულოდ ორ ათეულ ჰექტარზე უკონდიციო ქერი დათესეს, და ვინ იცის სადმდე მივიდოდა მდგომარეობა, საქმეში საწარმოო სამმართველო და პარტიული კომიტეტი რომ არ ჩარეულიყვნენ. წელსვე აქ მინდვრად ერთი ტონა ორგანული სასუქიც არ გაუტანიათ.

ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორი ტ. პაროწიანი, რომლის სამოქმედო ზონაში სოფელი არაგვა შედის, ნაკლებად ერკვევა საკოლმეურნეო წარმოებაში.

საჭიროა საწარმოო სამმართველოები და მათი პარტიული კომიტეტები უფრო ღრმად ჩასწვდნენ ცალკეულ მეურნეობათა ჩამორჩენის მიზეზებს და დახმარებენ კმედითი ღონისძიებანი მათ მოწინავეთა დონემდე ასაყვანად.

ამ დღეებში ჩვენი გაზეთის რედაქციამ ერთი ყურადსაღები სიგნალიც მიიღო. იგი იუწყება, რომ ზნაურის საწარმოო სამმართველოს სოფელ ყორნისის კოლმეურნეობაში ნათესებს სარეველა ბალახები მოერია. ამასთან დაუმუშავებელია ის ნაკვეთებიც, რომლებიც კომუნისტებს აქვთ მიჩენილი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ჯიოევი ამ ამბავს გულდამშვიდებით შესცქერის.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო ძლიერდება თვითეული კომუნისტის, ყოველი პარტიული ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობა. ამიტომ აუცილებელია ავამაღლოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე მასებში, ყოველი კოლექტივის ძალები წარვმართოთ შვიდწლედის დავალებათა წარმატებით გადაჭრისაკენ.

საჭიროა სათავეში ჩავუდგეთ მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას. შევქმნათ თვითეული საწარმოში, საზოგადოებრივ მეურნეობაში, დაწესებულებაში შემოქმედებითი აქტივობისა და შრომითი აღმავლობის ატმოსფერო.

ცხოვრება, შრომა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა საუკეთესო აღმზრდელია. ამიტომ გაბედულად უნდა მივიზიდოთ ადამიანები პრაქტიკულ საქმიანობაში, მეტი ნდობა გამოვუცხადოთ და მეტი მოვთხოვოთ, წარვმართოთ და განვავითაროთ მათი ინიციატივა.

კომუნისტი მოწოდებულია იყოს მასების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, მხარს უჭერდეს ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, იბრძოდეს ჩამორჩენილობისა და დახავსებულობის წინააღმდეგ.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული პარტიული ძალების სწორად განაწილებაზე იქ, სადაც უშუალოდ წყდება გეგმის, ვალდებულების შესრულების ბედი. მაგრამ კომუნისტისათვის არ ეშარა მარტო თვითონ იმუშაოს კარგად. იგი მოვალეა გაიაზროს უპარტიო მასები, ღრმად გახდეს მარტოს მთა პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების არსი, მიაღწიოს იმას, რომ მისი ყოველი ამხანაგი დაძაბვით შრომობდეს და შემოქმედებითად უდგებოდეს საქმეს.

მუდმივად ავამაღლოთ საკუთარი თავისადმი მომხოვნელობა, ყოველთვის და ყველაფერში ვიყოთ სამაგალითო. ჩვენ გვიხწორებდნენ მხარს. შრომის პირადი მაგალითი, ცოცხალი სიტყვა, კეთილი რჩევა, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სხვადასხვა ფორმა — აი ის საშუალებანი, რომლითაც მეოხებით მივაღწევთ იმას, რომ ყველა მშრომელმა კარგად შეიგნოს, თუ რა დიდი როლი ენიჭება მის პირად შრომას კომუნისტური სიუხვის შექმნაში. ამით და მხოლოდ ამით, კონკრეტული საწარმოო შედეგებით განიზომება ახლა პარტიული მუშაობის დონე, თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

მოსკოვი, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა რუსეთის სფსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. მთავრობის ლოჟაში არიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი. დეპუტატები და სტუმრები მათ მეტყველ, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. რუსეთის სფსრ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.
2. რუსეთის სფსრ სამოქალაქო და საბოქაულო საპროცესო კოდექსების პროექტები.
3. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარემ — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. კრასტანინოვმა განაცხადა, რომ სესიას ესწრება აზერბაიჯანის სსრ დელეგაცია. მთელი დარბაზი მხურვალედ მიესალმა მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენლებს, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ აღნიშნა სახელოვანი თარიღი — რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის 150 წლისთავი.

სიტყვა ეძლევა აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურს აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. ა. ისკენდეროვს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ამხ. ისკენდეროვმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა „სიტყვა რუს ძმას", რომელიც აზერბაიჯანელი ხალხის პოეტური მისალმებაა თავის უფროსი ძმისადმი — რუსი ხალხისადმი.

აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა ოკიუმა ყურბანოვამ წაიკითხა „სიტყვა რუს ძმას".

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. გ. იგნატოვმა.

სესია იწყებს დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას — „რუსეთის სფსრ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი".

მოხსენება გააკეთა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მ. ვ. ტროფიმოვმა.

ისტორიკოსთა სამეცნიერო სესია

მოსკოვი, 9 ივნისი (საკდესი). დღეს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიკოსთა მორიგი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა დასავლეთ გერმანიის „აღმოსავლეთის შემსწავლელი" ისტორიულ ლიტერატურის („ოსტფორშუნგი") კრიტიკულ გაანალიზებას.

მოხსენება „საბჭოთა ეპოქის ისტორიის ფალსიფიკატორები ოსტფორშუნგის ისტორიულ ლიტერატურაში" წაიკითხა აკადემიკოსმა ი. ი. მინცმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა პოლიტიკური აქტუალობა და მეცნიერული ძნიშნელობა აქვს ამ მიმდინარეობის პრინციპულ კრიტიკას. ეს მიმდინარეობა აერთიანებს რევანშისტული, მილიტარისტული და ანტიკომუნისტური შეხედულებებს ნარევი. მეცნიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთგერმანელ ისტორიკოსთა გამოკვლევები სავსებით ეწინააღმდეგება ფაქტებს.

სესიაზე გამოვიდა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ლეო შტერნი, რომელმაც კრიტიკულად დააანალიზა ცრუმეცნიერების — „ოსტფორშუნგის" ძირითადი დებულებანი. მაგრამ მეცნიერმა აღნიშნა, რომ ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოებისა და მათ შორის კონტაქტების დამყარების პროგრესული ტენდენცია სულ უფრო ფართო გამოხმაურებას პოულობს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობაში.

ვ. ულბრიხტი მოსკოვს დაბრუნდა

ომსკი, 10 ივნისი (საკდესი). დღეს ომსკელებმა გულთბილად გააცილეს გერმანელი სტუმრები, რომლებმაც რვა დღეს იმოგზაურეს ციმბირში, იყვნენ ნოვოსიბირსკში, იოკუტსკში, ბრატსკში, კრასნოიარსკსა და ომსკში.

გერმანელ სტუმრებთან ერთად ომსკიდან მოსკოვს გაფრინდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

ამავე თვითმფრინავით მოსკოვს დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. პ. კირილენკო და სხვა საბჭოთა ამხანაგები, რომლებიც ახლდნენ ვალტერ ულბრიხტს.

მოსკოვი, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს უთანასო და ცომბირში მოგზაურობიდან მოსკოვს დაბრუნდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

ამავე თვითმფრინავით მოსკოვს დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. პ. კირილენკო და სხვა საბჭოთა ამხანაგები, რომლებიც ახლდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმრებს.

ვნუკოვოს აეროდრომზე ვალტერ ულბრიხტს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სხვა ოფიციალური პირნი.

მეგობრობისა და სოლიდარობის ნიშნად ვ. ულბრიხტმა ქარხნის კოლექტივს გადასცა ქალაქ შვედტის ნავთობგადასამუშავებელი კომბინატის პარტიული ორგანიზაციის დროშა.

საღამოს ვალტერ ულბრიხტისა და მისი თანამგზავრების პატივსაცემად გაიმართა სადილი. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-32"

1964 წლის 10 ივნისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-32"-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია საკვლევარო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი 89,78 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 338 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 209 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 51 გრადუსი და 17 მინუტი;

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის:

— რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,996 მეგაჰერცი სიხშირით;

— რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის;

— რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

„დიდმნიშვნელოვანი წვლილი"

ოსლო, 10 ივნისი. (საკდესი). ჩვენ ხრუშჩოვს ვეუბნებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება" — აცხადებენ ნორვეგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გემთმშენის „აკერს მეკანისკე ვერკფიტენდის" მშრომელები რეზოლუციაში, რომელიც დღეს გამოაქვეყნეს ნორვეგიის მუშათა პარტიის ცენტრალურ ორგანოში გაზეთ „არბაიდერბლადეტში". „საბჭოთა პრემიერ-მინისტრის ვიზიტი, — ნათქვამია რეზოლუციაში, — არის განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა. ხრუშჩოვი ჩვენი მეზობელი უდიდესი სახელმწიფოს თვალსაჩინო ხელმძღვანელია. ის ფაქტი, რომ იგი მალე ეწვევა ნორვეგიასა და ჩრდილოეთის სხვა ქვეყნებს, მიგვაჩნია, როგორც ცივი ომის შეწყვეტისადმი მისწრაფების დადებითი შედეგი".

ჩინელ გამთმშველთა შავი საქმენი

სოფია, 10 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელომ" გამოაქვეყნა ბულგარეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი პირინსკის სტატია „მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობა მძლავრი საერთაშორისო ძალაა". ამ სტატიაში მკაცრად გაკრიტიკებულია ჩინეთის წარმომადგენელთა გამბიშველი, ავანტიურისტული მოქმედება მშვიდობის მსოფლიო საბჭოში.

უკრაინული საათი

უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს

მოსკოვში გაიხსნა ტ. გ. შევჩენკოს ძეგლი

მდინარე მოსკოვის ერთ-ერთ ულამაზეს სანაპიროზე, რომელიც დიდი კობზარის ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს სახელს ატარებს, ცადაწვდილ სასტუმრო „უკრაინის" შენობის წინ 10 ივნისს ლ. ბ. ბეკერობა ათასობით მოსკოველი — მუშები და მოსამსახურეები, პარტიული და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწეები, მოსწავლე ახალგაზრდობა. ისინი აქ სადღესასწაულოდ მორთულ სასტუმროს შენობის წინ მოედანზე მოვიდნენ უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილის ტ. გ. შევჩენკოს ძეგლის საზეიმო გახსნაზე.

მოხუმენტთან, რომელსაც გადაფარებული აქვს ობრეშმის თეთრი ქსოვილი, დგას ტრიბუნა. საღამოს ხუთ საათზე ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ბ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი. მათთან ერთად ადიან უკრაინის შრომელთა დელეგაციის წევრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პ. ე. შელესტის მეთაურობით.

ტრიბუნაზე ადიან აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი და სხვა გერმანელი მეგობრები.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა, რომელმაც მიტინგი გახსნა, თქვა, რომ ტ. გ. შევჩენკოს ძეგლი მოსკოვში დიდი რევოლუციონერი-დემოკრატისადმი, ხალხთა თავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და მეგობრობისათვის მებრძოლისადმი მთელი საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარულია და პატივისცემის სიმბოლოა.

ამხ. ეგორიჩევი დამსწრეთა სახელით გულთბილად მიესალმა მოძმე უკრაინელი ხალხის წარმომადგენლებს, შემდეგ მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვს სიტყვა გაუხსნა დიდი კობზარის ძეგლი.

მოედანზე გაისმის მჭეხარე ოვაცია. შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, იგი ჩამოვიდა ტრიბუნიდან, მივიდა მონუმენტთან და გადაჭრა წითელი ლენტი. ძეგლს. ამრეშუმის ქსოვილი ჩამოეცალა. ყღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. მნახველთა თვალწინ აღიმართა უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილის მონუმენტური ფიგურა. მძლავრი და დიდებულია ხუთი მეტრი სიმაღლის რევოლუციონერი პოეტის ბრინჯაოს ძეგლი. იგი თითქოს მიაბიჯებს ოდნავ თავდახრილი, უკან ხელებშეკრული, იგი შორს იყურება, სახეზე აღბეჭდილია ფიქრი თავისი სამშობლოს ბედ-იღბალზე, მისთვის საყვარელი ხალხის მომავალზე.

ძეგლი დადგმულია ნაცრისფერი უკრაინული გრანიტის კვარცხლებეკზე, როგორც ბუნებრივ კლდეს წაგდეს. იგი დგას ზუთუტხოვანი, მწვანით დაფარული, მიწის ხელოვნურ ბორცვზე.

გრანიტზე ამოკვეთილია სიტყვები შევჩენკოს „ანდერძიდან":

„და იმ ახალ დიდ ოჯახში,
შვებით თუ დამკვიდდებით,
მეც გახსოვდეთ, მომიგონეთ,
სათნო, წყნარი სიტყვით".

ნ. ს. ხრუშჩოვი ადის ტრიბუნაზე და ამბობს სიტყვას.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს აქ ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს ძეგლის გახსნაზე მოსკოველები და მათთან ერთად ყველა საბჭოთა ადამიანი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს დიდი უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს, პოეტ რევოლუციონერს, პოეტ დემოკრატს, დიდ მხატვარს, რომელმაც მთელი თავისი დიდი ნიჭი ჩვენი ხალხის საქმეს მოახმარა.

ჩვენს ხალხს-მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო შშობლიურად და თავისიანად მიაჩნიათ ამ მარტო უკრაინელებს, რუსებს, ბელორუსებს, ყაზახებს, არამედ ყველა ეროვნების ადამიანებს, რომლებიც გაერთიანებული არიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ეი რატომ არის სასიბარულო, რომ ეს ძეგლი აქ, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში დგას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა „ელი მოაწერა მთავრობის დადგენილებას, რომ მოსკოვში დადგმულიყო სოციალიზმისა და რევოლუციის დიდი მოღვაწეების ძეგლები. მათ შორის დიდი უკრაინელი კობზარის სახელიც იყო. დღეს ვლადიმერ ილიას-ძის ეს ანდერძი შესრულდა.

პოეტის დაბადების 150 წლისთავი აღინიშნება როგორც კულტურის დიდი და სასახელო დღესასწაული, საიუბილეო ზეიმი პოეტისადმი მთელი ხალხის სიყვარულის აღფრთოვანებულ დემონსტრაციად გადაიქცა. მან დაგვანახვა, თუ რაოდენ ძვირფასია ჩვენი თანამედროვეებისათვის პოეტის სახელი და ხსოვნა.

დიდი კობზარის — ტარას შევჩენკოს ახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ესი უკვდავი ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ენაზე, ბევრი ქვეყნის ხალხთა ენებზე. და მთელ მსოფლიოში შევჩენკოს პოეზია ნაღარასავით მოუწოდებს მშვიდობისათვის, შრომისათვის, თავისუფლებისათვის, თანასწორობისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხის ძმობისა და ბედნიერებისათვის საბრძოლველად.

ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო — ამბავი ბედნიერ ადამიანზე, ბედნიერ ადამიანზე, ბედნიერ ადამიანზე. ეს ბედნიერება ბევრ ადამიანს ერგო. ეს ბედნიერება ერგო ბევრ ადამიანს, ბევრ ადამიანს, ბევრ ადამიანს

უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

იგრძნობა ეროვნული კარდახშულობა და განცალკევება, ეროვნული ეგოიზმი და ამპარტავნობა. მისი პოეზიის სული ლიაა ყველა ერისა და ხალხის მშრომელი ადამიანებისათვის.

ისევე, როგორც ყველა ჭეშმარიტად დიდი ეროვნული პოეტი, როგორც პუშკინი და მიცკევიჩი, ლერმონტოვი და ბაირონ, ბაირონი და მაიაკოვსკი, შევჩენკო ინტერნაციონალური ძმობისა და ხალხთა მეგობრობის პოეტია. იგი არასოდეს არ განასხვავებდა მშრომელ ადამიანებს — მას უყვარდა ყველა ეროვნების მშრომელი ადამიანები და ჩაგრულები ისევე, როგორც განურჩევლად სძულდა ყველა მჩაგვრელი. ამიტომ თვითონ მეამბოხე კობზარიც ერთნაირად სძულდათ რუს მეფეს, მის კარისკაცებს და უკრაინელ პანებს.

თავისი პოეზიით შევჩენკო იმათ როდი ატკბობდა, ვინც უსაქმობის გამო ზოგჯერ ლექსებს კითხულობს. მისი პოეზია არ ატკბობდა ცხოვრებამოყირავებული ადამიანების სმენასა და სულს. შევჩენკოს პოეზიის მახვილი მიმართული იყო მჩაგვრელების წინააღმდეგ. პოეტი მომართავდა ჩაგრულთ, დაბეზღებულთ, იგი მათ საბრძოლველად მოუწოდებდა და თვითონაც მათთან ერთად იბრძოდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ტარას შევჩენკოს ღრმად სწამდა და არაერთხელ უთქვამს, რომ ყველაფერს დიდებულსა და მნიშვნელოვანს ადამიანის გონება და ხელი ქმნის და თუ მათ გავთავისუფლებთ შონობის ბორკილებისაგან, ისინი სასწაულს მოახდენენო. იგი მგზნებარედ მოუწოდებდა ხალხთა მასებს ბოლო მოელოთ „ყველა ამქვეყნიური ქვემძრომისათვის, ხელში ჩაეგდოთ, ბაესრისათ და ჯოჯოხეთში გადაეგდოთ“. იგი გაბაცებით იბრძოდა შრომელი ადამიანის განთავისუფლებისა და განდიდებისათვის, მისი ბედნიერებისათვის. იგი წერდა: „ბევრი, ძალიან ბევრი რამ არის მშვენიერი ღვთაებრივ უკვდავ ბუნებაში, — მაგრამ უკვდავი სილამაზის ზეიმი და გვირგვინია ადამიანის ბედნიერებით გაბრწყინებული სახე. მე არაფერი არ მინახავს ბუნებაში უფრო ამაღლებული და მშვენიერი“.

ამდა დიდი უკრაინელი კობზარის ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს ოცნებები. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს რიე მონობისა და ჩაგრის ბორკილები. ყველა ხალხმა, როგორც მცირემ, ისე დიდმა თანასწორი უფლებები მიიღო. საბჭოთა ადამიანი — თავისუფალი შრომის ადამიანი საკუთარი ბედნიერების ბატონ-პატრონი და შემქმნელი გახდა.

ყოფილი მეფის რუსეთის ხალხთა სიდიადე ის არის, რომ ისინი მეგობრულ, ძმურ ოჯახში ცხოვრობენ. საბჭოთა კავშირის ხალხთა ამ დიდ ოჯახში გაერთიანებულია 100-ზე მეტი ერი და ხალხი.

მტრებს ეგონათ, რომ მოსახლეობის ასეთი მრავალეროვანი შემადგენლობის გამო სოციალისტური სახელმწიფო აუცილებლად დაიშლება. სწორედ ამის უფლებდნენ საფუძვლად ისინი ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების აღდგენის შავგნიერ გეგმებს.

შევჩენკოს შემოქმედების გარშემო საზღვარგარეთ დღესაც მწვავე იდეოლოგიური კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობს. კომუნიზმის მტრები და მათ შორის ბურჟუაზიული ნაციონალისტებიც, რომლებიც თავიანთი იმპერიალისტი ბატონებისათვის იღვწიან, ისევე როგორც წინათ, ახლაც ცდილობენ დიდი კობზარის შემოქმედება თავიანთი მოლალატური მიზნებისათვის გამოიყენონ. ისინი ყოველნაირად ამახინჯებენ და აყალბებენ მას. მაგრამ ამ იმედებს ახდენა არ უწერიათ.

ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა ბრძნულმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკამ. ჩვენი ხალხების სულიერი სიდიადე, მათი მაღალი პოლიტიკური შეგნება იმით გამოვლინდა, რომ მათ ეროვნული შეზღუდულობა დაძლიეს და სოციალური, პოლიტიკური განთავისუფლება ვიწროდ გაგებულ ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყენეს. ძმურ მრავალეროვან ოჯახში თავიანთი შრომით, თავიანთი ბედნიერი სიცოცხლით ხალხთა ადამიანებმა შექმნეს მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც ძალუძს ერიან ანგარიში გაუწიონ ძველი, წარმავალი სამყაროს წარმომადგენლებმა, სწორედ იმათ, ვინც დასცინოდა მეფის რუსეთის ჩამორჩენილობას.

ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო არ იყო მარქსისტი, ვინაიდან მაშინ მარქსიზმი ის-ის იყო იქმნებოდა. მაგრამ XIX საუკუნის შუა წლების რუსეთის პირობებშიც კი იგი სწორად გრძნობდა ახალი დროის სუნთქვას, მუშათა კლასის ჩასახვას და მის დიდ მომავალს.

ავიღოთ თუნდაც ასეთი ჩანაწერი ტარას შევჩენკოს დღიურში. „გადასახლებიდან რომ ბრუნდებოდა მდინარე ვოლგით, იგი წერდა, რომ „... ეს გემი მე რაღაც უზარმაზარ, ყრუდ მოგუგუნე ხახაში გასაგები იყო ყველა ჩაგრულისა და დამონებულის მისწრაფებანი. იგი ჩაგრულთ გულში უნერგავდა გამარჯვების მტკიცე რწმენას, იმის რწმენას, რომ მშრომელი ხალხი დაამსხვრევს მონობის ბორკილებს, და დედამიწაზე შექმნის ნათელ და სასიხარულო ცხოვრებას. აღსრულდა ტარას გრიგოლის-ძის სანუკვარი ოცნება. ჩვენს განახლებულ ქვეყანაში თავისუფალ, ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ ჩვენი სამშობლოს ბედნიერი ადამიანები.

შევჩენკო, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, იყო და ყოველთვის იქნება ხალხთან ერთად, რადგან იგი როგორც პოეტი ხალხის ღვიძლი შვილი იყო. უკრაინელი ხალხი კანონიერად ამაყობს იმით, რომ რუს ხალხთან და ჩვენ ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად აქტიურად იბრძოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მათთან ერთად გაიარა რეაოლუციური ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა. ახლა რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავიანი დაუტეხელი შრომით ახორციელებენ კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, რომელიც ჩვენი პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ მიიღო.

ბ. ე. შელესტმა თქვა, რომ ყველას გულის სიღრმემდე ჩასწედა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელიც გულწრფელი სიყვარულითა და გულთბილობით გაჯერებულ ქუქდავი კობზარის დიდებულ სახე, მისი თვალსაჩინო როლი ბრძოლა ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა უკრაინელი ხალხის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა დიდ რუს ხალხს, ყველა მოძმე ხალხს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ამ ძეგლისთვის და ყოველივე იმისათვის, რაც მათ გააკეთეს და ახლაც აკეთებენ დიდი კობზარის ხსოვნის უკვდავსაყოფად, იმისათვის, რომ დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა უკრაინის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისათვის. მან ბირობა დადო, რომ უკრაინის კომუნისტები, უკრაინელი ხალხი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეული წვლილი შეტანონ ჩვენი ქვეყნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

მოსკოვის მშრომელთა სახელით მიტინგზე სტუდია წარმოთქვა ელადიერ ილიას ძის სახელობის ქარხნის მუშამ ა. ა. კუბარევმა. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო ყველასათვის საყვარელი სახალხო პოეტია. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირში, სადაც დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანების ნებითა და შრომით იქნება ხალხთა ბედნიერება, მოძმე ხალხების თავისუფალ თანამეგობრობაში კეთილი, მამაცური სიტყვით მოიხსენიება უკვდავი ტარასის სახელი.

დაე ალამაზებდეს ჩვენს მშობლიურ მოსკოვს კობზარის — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მომღერლის, დედამიწის უბრალო ადამიანების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მამაცი მებრძოლის ძეგლი! — თქვა ა. ა. კუბარევმა.

ეს ძეგლი ჩვენი ხალხების, ტარას გრიგოლის-ძის პოეტური გენიის ყველა თაყვანისმცემლის სიყვარულისა და პატივისცემის მარადიული სიმბოლო იქნება, განაცდადა მიტინგზე ნ. ს. ტიხონოვმა — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მომწყობი სრულად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ.

გავიდა ასი წელი, განაგრძო ნ. ს. ტიხონოვმა და აი, ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო კვლავ შეხედა მოსკოვს, მაგრამ არა ისეთ მოსკოვს, როგორსაც იგი იცნობდა, არამედ მოსკოვს — დიდი მსოფლიო სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქს. მოსკოვი, რომელიც მშვიდობისა და პროგრესის, განათლებისა და ხელოვნების მსოფლიო ბურჯია, არა მარტო დიდი გულთბილობით, არამედ უდიდესი საერთო სახალხო სიყვარულით აღნიშნავს ღღეს დიდი უკრაინელი პოეტის იუბილეს.

ნ. ს. ტიხონოვმა აღნიშნა, რომ შევჩენკო თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით განამტკიცებდა ჩვენი ლიტერატურის ძმობას, რუსი და უკრაინელი პროლეტარიატის კავშირს. სიტყვა შევჩენკოდეე უფრო მეტად აკავშირებდა ჩვენი ხალხების ერთობას.

ამხანაგების ბ. ე. შელესტის, ა. ა. კუბარევისა და ნ. ს. ტიხონოვის სიტყვების დროს არაერთგზის გაისმოდა ტაში.

მიტინგი დამთავრდა. დიდებულად ღღერს უკვდავი შევჩენკოსეული „ანდერძი“. მას ასრულებენ სახელმწიფო ანსამბლის სიმღერა კაპელა „დუმკა“, უკრაინის ხალხური გუნდი, ბანდურისტთა სახელმწიფო კაპელა.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მიტლოცეს ტარას შევჩენკოს ძეგლის ავტორებს — ახალგაზრდა უკრაინელ მოქანდაკეებს მ. ბ. გრიციუკს, ი. ლ. სივკეკინს, ა. ს. ფუჟენკოს, არქიტექტორებს ა. ა. სნიცარევს, ი. ა. ჩეკანიუკს, და მათ შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვეს მუშაობაში.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა, უკრაინის დელეგაციამ ყვავილებით შეამკეს ძეგლი. ძეგლი ყვავილებით შეამკეს ბურეთეი დედაქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, საწარმოთა, მშენებლობათა, შემოქმედებითი კავშირებისა, დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, ეკოლათა წარმომადგენლებმა.

ტ. გ. შევჩენკოს ძეგლის მახლობლად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებმა დარგეს ნორჩი მუხები, რომლებიც უკრაინელებმა ჩამოიტანეს, როგორც რუსი და უკრაინელი ხალხების მარადიული და ურღვევი მეგობრობის სიმბოლო.

უსმენენ ძველ ბოლშევიკებს

მახარაძე. (საკ. კორ.). მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან შეიქმნა ძველ ბოლშევიკთა სექცია, რომელშიც გაერთიანებული არიან რევოლუციის veteranები, ამჟამად პერსონალური პენსიონერები. ისინი ხშირად მართავენ ლექციებს მოსახლეობაში.

მსმენელები დიდი ინტერესით ისმენენ ძველი ბოლშევიკების კ. უჯმაჯურიძისა და მ. თავდუმაძის ლექციებს, რომლებიც მიძღვნილია 1905 წლის რევოლუციის პეროიდში გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ცალკეული ეპიზოდებისადმი.

საინტერესო იყო რევოლუციის veteranთა მოგონებები იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდნენ ისინი მენშევიკების წინააღმდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

ვარტიული ცხოვრებიდან

პოლიტიკური განათლების კერა

კადრების პოლიტიკური განათლების მძლავრ კერად გადაიქცა საქართველოს კპ ქუთაისის სკკალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი. მის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ თეორიას ეუფლებიან და პოლიტიკური ცოდნის დონეს იმაღლებენ არა მარტო ქ. ქუთაისის, არამედ იგრეთვე მეზობელი ქალაქებისა და რაიონების მშრომელები.

თვითონ ორსებობის 16 წლის მანძილზე უნივერსიტეტმა 3.500-ზე კურსდამთავრებული გამოუშვა. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შორის არიან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ინჟინრები, ტექნიკოსები, პედაგოგები, ექიმები, ეკონომისტები, იურისტები, ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მოწინავე ადამიანები.

ბევრი კურსდამთავრებული, მუშაობს ახლა პასუხსაგებ პოსტზე, ხელო უმაღლესობა წარმატებით ასრულებს უმნიშვნელოვანეს პარტიულ დავალებას — ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას საწარმოებში, ახალ მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ქუთაისის № 1 სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ვ. ვერულაშვილი ახლა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის ტექნიკური განყოფილების უფროსი დ. ცაგარელი პარტბიუროს მდივნად მუშაობს, ხოლო ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის წამყვანი კონსტრუქტორი ა. ხუჟუა — პროპაგანდისტად.

„ლექტორის დღე“

თელავის სამრეწველო-საწარმოო პარტიულმა კომიტეტმა მოაწყო „ლექტორის დღე“, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ამ დღეს თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, წითელწყაროს, ასმეტისა და ყვარლის საწარმოებში წაკითხულ იქნა 50-მდე ლექცია.

თემაზე „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთი საკითხი“ — ლექცია წაიკითხა რ. შარაშენიძემ. ვ. კოლელიშვილის ლექციის თემა იყო „სკკპ ბრძოლა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“, მ. სესიაშვილისა — „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი“ და სხვ.

ლექციებს სამი ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

მ. ნიკალაური,
პარტიული განათლების კაბინეტის გამგე.

ანტირელიგიური კონფერენცია

ორჯონიკიძის რაიონის გოლათუბნის სასოფლო ბიბლიოთეკამ, რომელიც ნ. კამკაძისე განაგებს, ახლახან მოაწყო ბკითხველთა კონფერენცია, რომელიც ანტირელიგიურ პროპაგანდას მიეძღვნა.

კონფერენციაზე ინტერესით მოსმენილ მოხსენებებმა: „მეცნიერება და რელიგია“, „რელიგია და ქალი“, „ბავშვთა ანტირელიგიური აღზრდა ოჯახში“ და სხვ.

სასოფლო ბიბლიოთეკამ ამ კონფერენციის მოწყობით კარგი საქმე გააკეთა.

ი. ღამბაშიძე.

მეცნიერების კანდიდატები — საამქროებში

ამ დღეებში თბილისის 26 კომისრის რაიონის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის საამქროებში წაკითხულ იქნა საინტერესო ლექციები. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ჩიკვაიძემ წაიკითხა ლექცია „ხალხთა მეგობრობის ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“, დოცენტ ტ. მეგრელიშვილის ლექციის თემა იყო — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შეკავშირებისათვის“.

მშრომელები ლექციებით კმაყოფილი დარჩნენ.

ა. გეგეჭკორი.

კომუნისტური ზრდის სკოლაში

ბულაჩაურის საწარმოო სამმართველოს სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ პარტორგანიზაციასთან შეიქმნა კომუნისტური შრომის ორწლიანი სკოლა. სასწავლო წლის პერიოდში სკოლის მსმენელები შეისწავლიან თემებს: „პოლიტიკური ცოდნის საფუძვლები“, „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი“; „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“ და სხვ.

სკოლაში მეცადინეობა მიმზიდველად, პრაქტიკულ საკმაოდ ახლოს ერთან ერთან ერთან

მეორედ დაბადება

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 8 აპრილის ნომერში დაბეჭდილი იყო ს. კილასძის წერილი „შემაცა გოგონა ცეიტხაინიდან“, რომელშიც მოთხრობილი იყო ჰიტლერელთა ცეიტხაინის საკონცენტრაციო ბანაკის ანტიფაშისტური ბრძოლების აქტიურ მონაწილეზე ელენე (ლენა) ვასილის ასულ ხომასურიძეზე. ლენა ამჟამად ცხოვრობს თბილისში და მუშაობს ექიმის თანაშემწედ რესპუბლიკური სამეცნო-განეკოლოგიური ინსტიტუტის ახალშობილთა განყოფილებაში.

ცეიტხაინის ბანაკში იყო ავგრეთვე მხატვარი ა. პახომოვი, რომელსაც იქ დაუხატავს ლენას პორტრეტი. რედაქციის თხოვნით მხატვარმა ა. პახომოვმა (იგი ამჟამად სოჭში ცხოვრობს) ამასთან დაკავშირებით გამოგვიგზავნა წერილი და ამ პორტრეტის ფოტოპირი. ქვემოთ ვბეჭდავთ ამ წერილსა და პორტრეტს.

◇ ◇

გასული წლის იანვრის დამდეგს სოჭის სკოლების მასწავლებლები მოემზადა საქართველოში ჩამოვიდნენ.

ვაგონის ფანჯრებში გაიელვეს დიდმა და პატარა სადგურებმა: სოხუმმა, რიონმა, ხაშურმა, მეტეხმა, კასპმა...

გაწითლდისას სულ უფრო მკაფიოდ მოჩანს მაღალ კლდეზე ჯვარის მონასტრის კორტეტრები. მაგრამ მე მაღელვებს არა საქართველოს მთების პეიზაჟი, არა უძველესი ტაძრები და ციხეები. მღელვარებით ველი თბილისში შეხვედრას ცეიტხაინის ყოფილ ტყვესთან ლენა ხომასურიძესთან.

ეს შეხვედრა საღამოს შედგა.

შვიდმეტრების ტრადიციული ქართული გულგაბლილობით მიღების გარდა, გამაკვირვა კიდევ ერთმა მოულოდნელობამ: ლენამ მიჩვენა თავისი ოცი წლისწინანდელი პორტრეტი. ფანქრით ნახატზე მკაფიოდ გამოირჩეოდა ნაკეცები. თვალში გეცემოდა, რომ ნახატი ფანერაზე დაწებებამდე დიდხანს უტარებიათ გიმნასტერის ჯიბეში. ქალაღლის ნაკეცები მოგაგონებდათ მავთულლარს, საიდანაც შემოგცქერით შავთმიანი, შავთვალა ქალიშვილი, რომელსაც ყუბანური ქუდი ხურავს.

დროისაგან გაყვითლებულ ნახატზე ჩემი ხელმოწერაა და დასმულია თარიღი „1943 წლის 25 მაისი“.

ახალგაზრდა ქალიშვილის პორტრეტმა და პორტრეტის ორიგინალმა — უკვე ორმოცი წლის ელენე ვასილის ასულმა, ჩემს წინ რომ იდგა, მეფსიერებაში აღმოაცენეს ტყვეობის საშინელი დღეები...

სამხედრო ტყვე ქალები ბანაკის ცენტრში იყვნენ, იზოლირებულ ბარაკებში, რომლებიც განსაკუთრებული მავთულხლართით იყო შემოსზღუდული. ისინი ბანაკში მოიყვანეს 1942 წლის დამდეგს.

ექიმები, ფეხშლები, სანიტრები — ეს ქალები ტყვედ წაიყვანეთ ჰოსპიტლებიდან და დამარცხებული საბჭოელი ქვეითმოყოფების ინტენსიფიცირებიდან.

ექიმმა-რენტგენოლოგმა ანა იანის ასულმა მარკოსმა ასობით საბჭოთა სამხედრო ტყვე გადაარჩინა სუფლის შახტებში კატორღულ სამუშაოსა და გარდუვალ დაღუპვას. მიუხედავად სასტიკი სასჯელის საფრთხისა, იგი ბანეზკოს, იქვე დაფლეთდნენ. კუბანის მარტო იყო და ჩვენი გამომეტყველებით მიხვდა, რასაც ვუზამდით. იგი მომორდა ქალიშვილს და წავიდა. მეორე დღეს ლიდა რაეენსბრიუკის ბანაკში გიგზავნეს. მაგრამ ლიდა რომანენკოს ოოზა ტელმანთან და სხვა ამხანაგებთან ერთად იქაც არ შეუწყვეტია იატაკქვეშა ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

...ლენა ხომასურიძე 17 წლისა გაიწვიეს წითელი არმიის რეგავში. ქალაქ ქერჩთან ტყვედ ჩაგრდა. ჯანკოისა და ხერსონის ბანაკების მთელი საშინელება განიცადა. ქალაქ ნიკოლაევის საეტაპო ბანაკში ტიფი გადაიტანა. როგორი ავად გახდა ფილტვების ანთებით. დობილებმა შორა მოლჩანოვამ და ანა ბანაკში გიგზავნეს. მაგრამ ლიდა რომანენკოს ოოზა ტელმანთან და სხვა ამხანაგებთან ერთად იქაც არ შეუწყვეტია იატაკქვეშა ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

...ლენა ხომასურიძე 17 წლისა გაიწვიეს წითელი არმიის რეგავში. ქალაქ ქერჩთან ტყვედ ჩაგრდა. ჯანკოისა და ხერსონის ბანაკების მთელი საშინელება განიცადა. ქალაქ ნიკოლაევის საეტაპო ბანაკში ტიფი გადაიტანა. როგორი ავად გახდა ფილტვების ანთებით. დობილებმა შორა მოლჩანოვამ და ანა ბანაკში გიგზავნეს. მაგრამ ლიდა რომანენკოს ოოზა ტელმანთან და სხვა ამხანაგებთან ერთად იქაც არ შეუწყვეტია იატაკქვეშა ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

...ლენა ხომასურიძე 17 წლისა გაიწვიეს წითელი არმიის რეგავში. ქალაქ ქერჩთან ტყვედ ჩაგრდა. ჯანკოისა და ხერსონის ბანაკების მთელი საშინელება განიცადა. ქალაქ ნიკოლაევის საეტაპო ბანაკში ტიფი გადაიტანა. როგორი ავად გახდა ფილტვების ანთებით. დობილებმა შორა მოლჩანოვამ და

ჩვენი ინტერვიუ

„ვეფხისტყაოსანი“ დიდი თეატრის სცენაზე

გუშინ ჩვენმა მოსკოველმა კორესპონდენტმა გვაცნობა, რომ დიდმა თეატრმა გადაწყვიტა შემავალ წელს თავის სცენაზე განახორციელოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ **ალექსი მაჭავარიანის** ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“, რომელზეც იგი ამჟამად მუშაობს.

ლიბრეტო ეკუთვნის სპექტაკლის დამდგმელს ბალეტმეისტერ იური გრიგოროვიჩს, მხატვრობა რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს **სოლიკო ვირსალაძეს**; სპექტაკლის დირიჟორია რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი **ევგენი სვეტლანოვი.**

კორესპონდენტთან საუბარში დიდი თეატრის მთავარმა ბალეტმეისტერმა იური გრიგოროვიჩმა განაცხადა:

— შოთა რუსთაველის გენიალურმა ქმნილებამ მომავალი სპექტაკლის ავტორთა უურადღება მიიპყრო თავისი მაღალი ჰუმანიზმით, ზნეობრივი იდეალებითა და გმირული სულისკვეთებით. შეეცდებით, რომ რუსთაველის უკვდავი ქმნილება მუსიკალური დრამატურგიისა და პლასტიკის საშუალებებით ვაჩვენოთ ჩვენს თანამედროვეებს.

●

„ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲘᲡᲢᲘ“ კორესპონდენტი ეწვია კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანს და სთხოვა ინტერვიუ ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

— დიდი თეატრის ეს ინიციატივა, — თქვა ალექსი მაჭავარიანმა, — ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, მხოლოდ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დავეთანხმე თეატრს ამ მეტად პასუხსაგებ საქმეზე. „ვეფხისტყაოსნის“ საბალეტო ყანრში გადატანა უაღრესად რთული ამბავია. პოემის მთელი შინაარსის გადმოცემა ერთ სპექტაკლში შეუძლებელია, ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს სიყვარულისა და მეგობრობის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული პოემა.

ჯერ კიდევ ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ, შექსპირამდე რამდენიმე ხნით ადრე, მე, თუ შეიძლება ითქვას, ბევრი ვუტრიალე „ვეფხისტყაოსანს“ და ჭაჭეთის ციხის ადების მუსიკალური სურათიც კი შევადგინე მერე, როგორც მოგეხსენებათ, ბალეტ „ოტელოზე“ ვმუშაობდი კარგახანს, ახლახან კი ოპერა „ჰამლეტი“ დავამთავრე. ვფიქრობ, რომ სწორედ შექსპირმა გამაბედვინა კვლავ მომემართა რუსთაველისათვის. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია და, ვფიქრობ, არც არის საჭირო. ისე კი, შემიძლია განვაცხადო, რომ ძალღონეს არ დავზოგავ, რათა დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო. ვნახოთ, ცდა ბედის მონახეურეა.

ჩემთვის, როგორც კომპოზიტორისათვის, დიდად სასიამოვნოა ის ამბავი, რომ ამ ფრიად პასუხსაგებ საქმეში ჩვენთან ერთად არიან პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და ცნობილი მკვლევარი პაველ ინგოროყვა, რომელთა მეგობრული რჩევა და კონსულტაცია უეჭველად დიდ დახმარებას გაგვიწევს.

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲒᲐᲘᲨᲐᲠᲓᲐ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვასა და ანდრიან ნიკოლაევის ოჯახში ქალიშვილი დაიბადა.

სამშობიარო სახლში, სადაც დაიბადა უმცროსი ნიკოლაევა, მოდიან კოსმონავტების მეგობრები, რათა ვალენტინას გადასცენ ყვავილები და მილოცვები, ჩამოართვან ხელი ბედნიერ მამას.

ექიმი ო. მაკეევა ვერ ასწრებს კითხვებზე პასუხის გაცემას. დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამბობს იგი, კარგია. კოსმონავტების გოგონა თავს კარგად გრძნობს. („იზვესტია“).

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). „ძველი გალავანი“ — ასე ეწოდება ქალაქ თელავის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს.

„ძველ გალავანში“ ახლა ტურისტული ბაზაა მოწყობილი. აქ მოდიან მრავალენი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მურმანსკიდან, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან.

— წელს, — ამბობს ტურისტული ბაზის დირექტორი ს. კახიძეული, — ექვსი ათასი ტურისტი გვესტუმრება. პირველმა სამასმა კაცმა და ქალმა უკვე დაათვალიერა ღირსშესანიშნაი ადგილები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები. ტურისტები კმაყოფილი არიან. შთაბეჭდილებათა წიგნში გაეწერა მათი ჩანაწერები. ფრალელი მუშა ვალენტინ კორენკოვი, ლენინგრადელი ექიმი ნატალია კოვალენკო, მოსკოველი ინჟინერი ვალერი გლოტოვი და სხვები კმაყოფილი არიან საქართველოში მოგზაურობით, კარგი მომსახურებისათვის მადლობას უხდიან ტურისტული ბაზის თანამშრომლებს.

ᲤᲘᲚᲛᲘ Დ. ᲒᲣᲚᲘᲐᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია სოხუმში იღებს ფილმს აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ამ დოკუმენტური კინოფილმის სცენარი ეკუთვნის მწერალ მიხეილ ლაკერბაის, რეჟისორია ვალერიან ალავიძე, ოპერატორი — ოთარ დეკანოსიძე.

გადაღებები იწარმოებს როგორც სოხუმში, ისე აფხაზეთის სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ნ. ᲛᲘᲥᲐᲨᲐᲕᲘᲫᲔ.

ᲜᲐᲢᲝ ᲕᲐᲠᲜᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ კინომსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის ნატო ვარნაძის ხსოვნას მიეძღვნა საღამო, რომელიც 9 ივნისს გაიმართა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. საღამოს დესპერნენ კინოსა და თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეები, მწერლები, მხატვრები, ნატო ვარნაძის მეგობრები და ახლობელნი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ. შემდეგ აჩვენეს ნაწყვეტები მუნჯი კინოს პერიოდის ფილმებიდან, რომლებშიც მთავარ როლს ნ. ვარნაძე ასრულებდა.

დამსწრეებმა ყურადღებით მოუსმინეს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. მიქაბერიძეს, რომელიც ბევრ სურათში მისი პარტნიორი იყო.

ნ. ვარნაძის პოპულარობაზე ილაპარაკეს რესპუბლიკის დამსახურებულ მა არტისტმა მ. ყვარელაშვილმა, „ახალგაზრდა კინომსახიობმა ზ. ბოცვაძემ.

ნ. ვარნაძისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ი. ნონეშვილმა და ა. ბეგაშვილმა.

საღამოზე აჩვენეს იმ ხმოვანი კინოფილმების მონტაჟი, რომლებშიც მონაწილეობდა ნ. ვარნაძე.

(საქდესი).

ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ

„ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ“... ასეთი პოეტური და მიმზიდველი სახელი უწოდებია თავისი ახალი სპექტაკლისათვის ავსტრიის განთქმულ წალეტს ყინულზე „აის რევიუს“.

და მართლაც, სპექტაკლის რთულ და საინტერესო კომპოზიციაში თვითეული ძირითადი გმირი ოცნებობს თავის პატარა ბედნიერებაზე. წამყვან სოლისტთა მაღალი პროფესიული ოსტატობა, კორდებალეტის მკაფიო და შეწყობილი გამოსვლები ნიჭიერმა კოლექტივმა აჩვენა საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების ბევრ ქალაქში. მისი გამოსვლები ყველგან მუდამ დიდი და დამსახურებული წარმატებით სარგებლობდა.

ბალეტი ყინულზე ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სასეა, და თუ კოლექტივი აღნიშნავს თავისი არსებობის ოცდამეხუთე წლისთავს, ეს მას აკავლებს ჰქონდეს დიდი მოღწევები და უფლებას გვაძლევს წავეკითხოთ მას გაზრდილი მოთხოვნები. მკაფიო ფერადოვან სანახაობაში, მოქმედებათა სწრაფ ცვლაში მსახიობები გვაოცებენ თავიანთი ტექნიკური ვირტუოზობით. მაყურებელს სიტლავს სწრაფი ტემპები თავბრუდამხვევი, ქარიშხლისებრი ტრიალისა ყინულზე და ჰაერში, რთული, პლასტიკური ილეთების სიმსუბუქე.

დიდ ეალსში, რომლითაც სპექტაკლი იწყება, ანსამბლის მსახიობებმა უჩვენეს მუსიკალობა, შესრულების დახვეწილობა და ადაგუფებათა სილამაზე. სპექტაკლის პირველი განყოფილების — ბალეტ „თილისმის“ ძირითადი სუფეტური ხაზია სიღვიის და მისი მეგობრის ნორბერტის სიყვარული. ამ ბალეტში ბევრი საინტერესო სახასიათო სცენა, საცეკვაო ეპიზოდი და გაშლილი მასობრივი სცენაა.

ლამაზია სახუმარო ქორეოგრაფიული ᲕᲔᲜᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲢ „ᲐᲘᲡ ᲠᲔᲕᲘᲣᲡ“ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

ჩანახატი „როგორ სწავლობენ სოლო ნომერს“, ორიგინალურია ჩვენება წარსული და მომავალი დროის სალამის ტუალეტებისა, ისევე როგორც შარკი „ზეგინდელი“ დროის ქალთა ქუდებზე. მსუბუქი, პლასტიკური ძირითადი გმირი სილვია (ჯოან ხანაპაელი) თავის ლირიკულ ვალსში და ნორბერტთან დუეტებში, რომლის პარტიას ოსტატურად ასრულებს მსახიობი ნორბერტ ფელზინგერი. მშვენიერია, მაღალი ტექნიკის მქონეა მსახიობი მილენა, რომ „იც სპექტაკლის ორ განყოფილებაში მოსაწილეობს. საინტერესო არიან შესანიშნავი ფიგურისტები პაულ სიმლი, ირეი ცრკა, კატრინ და ფრედ ემანუელები, ლილი ლევინი და ბევრი სხვა. რეჟისორული ჩანაფიქრით, ფერებითა და შუქგაფორმებით ლამაზია, შესრულების მხრივ მწყობრია ანსამბლური სცენები „სათხილამურო ტრასაზე“, „საცეკვაო მოედანი“, „მეკი-ბალეტი“ და ა. შ.

დიდი საბალეტო მიმოხილვა „კატა“ შეადგენს სპექტაკლ „ბედნიერებაზე ოცნების“ მეორე განყოფილებას. იგი, ისევე როგორც „თილისმა“, ბევრ საინტერესო, დამახასიათებელ სცენას შეიცავს და მკაფიო შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ბალეტის ძირითადი გმირები კრისტა (კარინ ფრონერი) და ჯანსი (პაულ სიმლი) ერთგვარ „გადახრათა“ შემდეგ აგრეთვე აღწევენ იმას, რომ ბედნიერებაზე ოცნება აუხდებათ. საინტერესოა სცენა ცირკში კლოუნადითა და სახასიათო საცირკო ბუფონადით.

სოლო ნომრებს გარდა, საცეკვაო და მნიშვნელოვანია მასობრივი სცენები — „ნომერი სპილოებით“, სადაც შესანიშნავად შექმნილია კოსტიუმები, „ინდური ბალეტი“, თვალს რომ ახარებს სამოსელთა ალმასისებრი ბრწყინვით, სადაც ყვავილფერი ელვარებს და ბრეტყვალებს შექეფეტების საუცხოო გამაში. შეუძლებელია ზამოთვალო „აის რევიუს“ ყველა წამყვანი სოლისტი. ისინი ყველანი საუცხოო ოსტატები და კორდებალეტის მსახიობებთან ერთად თვალიანთი ანსამბლის დიდი პატრიოტები არიან. თავიანთი ბეჯითი შრომით, ანალგაზრდობით, სილამაზითა და მაღალი ოსტატობით ყველანი გატაცებით ემსახურებიან „საყვარელ, რთულ და საინტერესო ხელოვნებას.

ფორმითა და შინაარსით მრავალფეროვანი სპექტაკლის საერთო ჩანაფიქრი შეუქნია რეჟისორს ვილ პეტერს. სპექტაკლის ხალისიანი, მხიარული მუსიკალური თანხლება (დირიჟორები კარლ ჰორსტი, ვიხმანი, ლასლო პოგანი) შექმნილია რობერტ შტოლეის მიერ. ანსამბლის ქორეოგრაფის ედიტ პეტერის დიდი დაძაბული შრომა, ჩინებული გემოვნება და ინიციატივა დიდად უწყობს ხელს სპექტაკლის წარმატებას; ისევე როგორც მხატვარ პერდაგოს ესკიზებით შექმნილი მთელი რიგი შესანიშნავი კოსტიუმები და არქიტექტორ ფელიქს სმეტანას დეკორაციები.

„ვენის ბალეტი ყინულზე“ დიდი დასკვნითი ვალსით ამთავრებს თავის ბრაგულ, იუმორით მოელვარე საუბილეო სპექტაკლს, რომელიც თბილისელებმა გულმხურვალედ მიიღეს.

მ. ᲬᲘᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲖᲔᲛᲝᲗ — ვენის „აის რევიუს“ სოლისტები ჰოლანდიელი ჯოან ხანაპაელი (მარცხნივ) და ავსტრიელი ნორბერტ ფელზინგერი ასრულებენ წყვილთა ცეკვას; ᲥᲕᲔᲛᲝᲗ — ანსამბლის კორდებალეტის გამოსვლა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სმენა დაუბრუნდა 25 წლის შემდეგ

ᲑᲚᲐᲒᲝᲕᲔᲨᲩᲔᲜᲡᲙᲘ, 9 ივნისი. (საკდესის კორ.). ოსტატურად გაკეთა ოპერაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ი. ოსტროვსკიმ.

დაახლოებით ოცდახუთი წლის წინათ ალექსანდრა გიორგის ასულმა მალცევამ დაკარგა სმენა. სეედიან მდუმარებაში გადიოდა თვეები, წლები, მაგრამ მორჩენის იმედი არ იყო. მისი ავადმყოფობა ოტოსკლეროზის მძიმე ფორმაა.

ბლაგოვეშჩენსკის სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა კათედრის ასისტენტმა ი. ი. ოსტროვსკიმ წარმატებით განახორციელა რთული ოპერაცია. ექიმი მუშაობდა მიკროსკოპით, რომელიც დადგმული იყო ავადმყოფის ყურთან, მან ამოკვეთა უწვრილესი გაძვალებანი, რომლებიც აბრკოლებდნენ სასმენი ძვლების მოძრაობას. სასმენი ძვლები შეგნითა ყურს გადასცემენ დაფის ამკის რხევას.

ახლა ალექსანდრა გიორგის ასული თავს კარგად გრძნობს, მას სმენა დაუბრუნდა.

ᲤᲘᲚᲛᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲘᲮᲔᲕᲡ

ᲣᲠᲜᲐᲚ „ᲜᲝᲛᲠᲝᲕᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲡᲣᲮᲐᲠᲔᲕᲐᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ „ᲑᲐᲖᲨᲕᲗᲐ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐᲜᲓᲚᲘ ᲓᲦᲔ“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ (ᲐᲐᲜᲡ) ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲡᲣᲮᲐᲠᲔᲕᲐᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲡ „ᲑᲐᲖᲨᲕᲗᲐ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐᲜᲓᲚᲘ ᲓᲦᲔ“.

□ □

ᲯᲔᲠ კიდევ შედარებით ცოტა ხნის წინათ ინფექციური დაავადებანი „№ 1 მტერი“ იყო ბავშვისათვის. ახლა ეს მტერი, თუ ბევრადაც უვნებელყოფილი არა, მნიშვნელოვანწილად შესუსტებულია, შორეულ პოზიციებზეა უკუგდებული.

რა თქმა უნდა, ინფექციებთან ბრძოლა არც წინათ ყოფილა და არც ახლაა იოლი. ამ ბრძოლაში მედიცინა ეპიდემიის საწინააღმდეგო სხვადასხვა ღონისძიებათა მთელ კომპლექსს იყენებს. მათგან ყველაზე ქმედითი აღმოჩნდა აქცინური იმუნიზაცია — პროფილაქტიკური აცრები.

ჩვენს ქვეყანაში ოვითეულ ბავშვზე, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი, დაწესებულია სამედიცინო მეთვალყურეობა. ეს შესაძლებლობას იძლევა შეგასრულოთ აქციური იმუნიზაციის ძირითადი პირობა — აცრები გაეუკეთოთ ყველა ან თითქმის ყველა ბავშვს, აცრა ვაწარმოოთ მეცნიერულად შემუშავებული სქემით, დროის გარკვეული შუალედებით. აცრების მეოხებით მოხერხდა დაგვეძლია ისეთი მძიმე დაავადება, როგორიც არის **დიფთერია.** მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ციფრს: 1958-დან 1962 წლამდე დიფთერიით დაავადება ჩვენს ქვეყანაში 7-ჯერ შემცირდა!

ამდენადვე ეფექტური აღმოჩნდა პროფილაქტიკური ვაქცინა პოლიომიელიტის წინააღმდეგაც.

იმ საშიშროებათა შორის, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინათ ემუქრებოდა პატარა ბავშვს, მცირე ადგილი როდი ეჭირა **ტუბერკულოზით** დაავადებასაც. ბავშვის ორგანიზმი მეტად მგრძნობიარეა ამ ინფექციისადმი, უჭირს მისი გამანადგურებელი მოქმედებისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

ამ ავადმყოფობასაც საიმედო დაბრკოლებად გადაეღობა პროფილაქტიკური ვაქცინა. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ბცგ ვაქცინას ჩვენს ქვეყანაში ყველა ბავშვი იღებს სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე ჯერ კიდევ სამშობიარო სახლში. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ტუბერკულოზით ბავშვების დაავადება დიდად შემცირდა.

უდიდესი ცვლილებები მოხდა ბევრი ინფექციური დაავადების არა მარტო გავრცელებაში, არამედ თვით მათს ხასიათშიც.

ინფექციურ დაავადებათა ახლანდელ სახელმძღვანელოებშიც შეიძლება წაიკითხოო, რომ დიფთერიით დაავადების გაძლიერების საკალდნელად პერიოდები აქვს, რომ იგი ვრცელდება თავისებურ რიტმულ „ტალღებად“ რამდენიმე წლის შუალედით. მართლაც, მეტ წილ ქვეყნებში მრავალი ათეული წლის მანძილზე დაავადების ანალიზი ასეთი კანონზომიერებას ადასტურებდა. გარდა ამისა, დიფთერიას უდავოდ სეზონური ხასიათიც ჰქონდა: უფრო ხშირად შემოდგომაზე და ზამთარში იჩენდა თავს.



მაგრამ ჩვენთან ღდეს ეპიდემიოლოგებს, ხედავენ თუ არა დიფთერიის ამ „ტალღებს“? არა! ამ ქველ და თითქოს ურყევ კანონზომიერებათა ნაცვლად გაჩნდა ახალი შესანიშნავი კანონზომიერება — დაავადების განუხრელი, მუდმივი შემცირება.

წინანდელთან შედარებით სხვანაირად მიმდინარეობს თვით დიფთერიაც. თუმცა ეს დაავადება კვლავ საშიშია, მაგრამ მეტ წილ შემთხვევებში უფრო ადვილად გადასატანია, ვიდრე წინათ, და ბაცილებით უფრო იშვიათია ამ დაავადებით სიკვდილის შემთხვევები. მაგალითად, ლენინგრადში, 1956 წლიდან დაწყებული, არც ერთი ბავშვი არ დაღუპულა დიფთერიისაგან.

მნიშვნელოვნად შეიცვალა **ქუნთრუშის** მიმდინარეობა. ჩვენ ვიცნობდით ქუნთრუშას, როგორც მძიმე დაავადებას, რომელიც ბავშვს სიცოცხლეს ემუქრებოდა და სხვადასხვანაირ არასახიმოვნო გართულებებს იძლეოდა. ახლა კი ეს თითქმის შუდამ იოლი და ნელი ავადმყოფობაა, რომელიც უკვალოდ გაივლის ხოლმე, შესაძლოა ზიანს ვერ აყენებს ორგანიზმს.

ქუნთრუშის სიმძიმე თანდათანობით კლებულობდა. სამგზეროდ მკვეთრად გაიზარდა ოიცხვი ეგრეთწოდებულ „წაშლილი“ ფორმებისა, რომლებიც იმდენად იოლად მიმდინარეობს, რომ ბავშვი თითქმის ჯანმრთელი ჩანს, და მხოლოდ „გულოდგნე“ გამოკვლევა იძლევა დიაგნოზის დადგენის საშუალებას.

მნიშვნელოვნად შეიცვალა **ყივანა ხველაც.** ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ბავშვთა ოთხი ინფექციის — წითელას, ქუნთრუშის, დიფთერიის, ყივანა ხველის შედარება გვიჩვენებდა, რომ ყივანა ხველას გავრცელების მხრივ მეორე ადგილი ეჭირა, ხოლო სიკვდილის შემთხვევების მხრივ — პირველი. ახლა ყივანა ხველით დაავადებამ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲘᲚᲘᲡᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ